საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-868

14/06/2021

ქ. თბილისი

„შპს „ეკოილ“-ის 1220 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების (ინდუსტრიული ზეთები) საცავების ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №ი-633 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 6 მაისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ეკოჯე 2011“-ის დირექტორმა და ითხოვა 2015 წლის №49 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ეკოილის“ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე (ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №15) გაიცა №49 (12.08.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. შპს „ეკოილმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ეკოჯე 2011“-ის სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო კოდით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

განცხადების თანახმად, კომპანია აღარ გეგმავს აღნიშნულ საქმიანობას. შესაბამისად, იგი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ეკოჯე 2011“-ის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ეკოილ“-ის 1220 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების (ინდუსტრიული ზეთები) საცავების ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №ი-633 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ეკოჯე 2011“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკოჯე 2011“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი